585
1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარეებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 9

1985

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 9 (480) სექტემბერი 1985 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

314. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.

315. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. თ. სალაიას საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

316. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების დებულების დამტკიცების შესახებ.

317. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. შ. ხაჩიძის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

318. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ა. ანჩაბაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

319. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. დ. მახარაშვილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

320. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ვ. მელქაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

№ 9

ეროვნული ბიბლიოთეკა

321. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ტ. [illegible] საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

322. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ე. ნერჩინის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

323. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ა. ჭითანავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

324. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული კონსტრუქტორისა“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული ტექნოლოგის“ სპატიო წოდებათა დაწესების შესახებ.

325. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

განყოფილება მეორე

326. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

327. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სტანდარტებისა და საზომი ტექნიკის სახელმწიფო ზედამხედველობის ლაბორატორიებისა და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისრის“ მუშაკებისათვის საქართველოს სსრ სპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

328. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ს. ცივაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

329. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დ. ა. თოფურიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

330. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

331. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ა. წერეთლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

332. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სტანდარტებისა და საზომი ტექნიკის სახელმწიფო ზედამხედველობის ლაბორატორიების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

333. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. პ. გ. გუგუშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

334. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ი. კაკაბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

335. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ბუ-ტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

336. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ვ. ჩიგოგიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

337. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. გ. თურნავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

338. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ა. ნაცვლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

339. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. ა. რამიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

340. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. მ. ცანავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებანი

314 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის წევრად ამხ. ვალერი როსტომის ძე **ასათიანი** — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

განთავისუფლდეს ამ კომისიის წევრის მოვალეობისაგან თეიმურაზ გიორგის ძე **ბადურაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 2 სექტემბერი.
№ 255—XI

12121

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

315 ამხ. კ. თ. სალიას საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. კონსტანტინე თეიმურაზის ძე **სალია** საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 3 სექტემბერი.
№ 256—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

316 საქართველოს სს რესპუბლიკაში დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების დებულება.

სოქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპ-უბ. ბიბლიოთეკა

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 26 მარტის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფისა (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 3, მუხ. 44).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჰ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **მდივანი** ო. **ლაშკარაშვილი.**

თბილისი, 1985 წლის 3 სექტემბერი.
№ 257—XI

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1985 წლის 3 სექტემბრის
გრძანებულებით

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საქართველოს სსრ რესპუბლიკაში დეპუტატთა ჯგუფები იქმნება დეპუტატთა ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე საარჩევნო ოლქებსა და შრომითს კოლექტივებში მათი უფლებამოსილების განსახორციელებლად ერთობლივი მუშაობის ორგანიზაციის, დეპუტატთა აქტიურობის ამაღლებისა და ინიციატივის განვითარების, მოსახლეობასა და შრომითს კოლექტივებთან სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფრო მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფისათვის.

დეპუტატთა საგუშაგოები იქმნება საბჭოსა და მისი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობისადმი, აგრეთვე იმ მუშაობისადმი ოპერატიული კონტროლის განსახორციელებლად, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას მის კონკრეტულ უბანსა ან ობიექტზე.

მუხლი 2. დეპუტატთა ჯგუფები და დეპუტატთა საგუშაგოები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, ამ დებულებით, აგრეთვე შესაბამისი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებით.

ავტონომიურ რესპუბლიკაში დეპუტატთა ჯგუფები და დეპუტატთა საგუშაგოები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 3. დეპუტატთა ჯგუფებს მუნიციპალურ კავშირი აქვთ შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, მუდმივ კომისიებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან, აგრეთვე დეპუტატთა ჯგუფების საქმიანობის ტერიტორიაზე განლაგებულ მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან.

დეპუტატთა საგუშაგოები თავიანთ მუშაობაში ურთიერთმოქმედებენ შრომითის კოლექტივებში მოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან.

მუხლი 4. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მათი თანამდებობის პირები ხელს უწყობენ დეპუტატთა ჯგუფებსა და დეპუტატთა საგუშაგოებს საქმიანობაში.

მუხლი 5. დეპუტატთა ჯგუფის ან დეპუტატთა საგუშაგოს მუშაობაში მონაწილეობა დეპუტატს არ ათავისუფლებს თავის საარჩევნო ოლქში მოვალეობათა შესრულებისაგან.

II. დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების შექმნის პრინციპები და წესი

მუხლი 6. დეპუტატთა ჯგუფები შეიძლება შეიქმნას ტერიტორიული და საწარმოო პრინციპით.

მუხლი 7. დეპუტატთა ტერიტორიულ ჯგუფებში შეიძლება გაერთიანდნენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები:

1) ქალაქებში, ქალაქის რაიონებში, დაბებში — შესაბამისად ქალაქის, ქალაქის რაიონული, სადაბო საბჭოს დეპუტატები, რომლებიც არჩეული არიან მომიჯნავე საარჩევნო ოლქებისაგან მიკრორაიონის ან კვარტალის, ქუჩის, ან ზემდგომი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქის ტერიტორიის ფარგლებში;

2) სოფლად — სასოფლო საბჭოს დეპუტატები, რომლებიც არჩეული არიან მომიჯნავე საარჩევნო ოლქებისაგან ერთი ან რამდენიმე მცირე და ერთმანეთთან ახლოს განლაგებული დასახლებული პუნქტის ფარგლებში, ხოლო მსხვილ დასახლებულ სასოფლო პუნქტებში — კვარტალის, ქუჩის ან ზემდგომი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქის ფარგლებში.

დეპუტატთა ტერიტორიულ ჯგუფებში შეიძლება შევიდნენ აგრეთვე ზემდგომი ადგილობრივი საბჭოების, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რომელთა საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე მოქმედებს შესაბამისი დეპუტატთა ჯგუფი.

მუხლი 8. დეპუტატთა საწარმოო ჯგუფებში შეიძლება გაერთიანდნენ მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მომუშავე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები.

დეპუტატთა საწარმოო ჯგუფებში შეიძლება შევიდნენ აგრეთვე მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მომუშავე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 9. დეპუტატთა ჯგუფები იქმნება დეპუტატთა კრებებზე. წინადადებანი დეპუტატთა ჯგუფების შექმნის შესახებ შეიძლება ნარეობდეს როგორც დეპუტატებისაგან, ისე სახალხო დეპუტატთა საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტისაგან.

გადაწყვეტილება დეპუტატთა ჯგუფის შექმნის შესახებ მიიღება ღია კენჭისყრით, დეპუტატთა ხმების უბრალო უმრავლესობით, რომელთაც გამოთქვეს სურვილი გაერთიანდნენ დეპუტატთა ჯგუფში.

დეპუტატთა ჯგუფის რიცხობრივი შემადგენლობა არ შეიძლება იყოს სამ დეპუტატზე ნაკლები.

ჯგუფში გაერთიანებული დეპუტატები თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ ხელმძღვანელს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — დეპუტატთა ჯგუფის მდივანსა და დეპუტატთა ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილეს.

დეპუტატთა ჯგუფების ხელმძღვანელებს ამტკიცებს შესაბამისად სახალხო დეპუტატთა ქალაქის, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭო.

მუხლი 10. დეპუტატთა ჯგუფები იქმნება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 11. დეპუტატთა საგუშაგოები იქმნება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს საქვეუწყებო საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, აგრეთვე კოლმეურნეობებში, ხეცა კოოპერაციულ ორგანიზაციებსა და მათს სტრუქტურულ ქვეგანაყოფებში. საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დეპუტატთა საგუშაგოები შეიძლება შეიქმნას მოცემული საბჭოს გამგებლობის საკითხებზე გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის განსახორციელებლად.

მუხლი 12. დეპუტატთა საგუშაგოები იქმნება მოცემული სახალხო დეპუტატთა საბჭოს ერთი ან რამდენიმე დეპუტატის შემადგენლობით.

დეპუტატთა საგუშაგოების შექმნის ინიციატივა შეიძლება მომდინარეობდეს საბჭოსაგან, მისი აღმასრულებელი კომიტეტის, მუდმივი კომისიების, აგრეთვე დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატებისაგან.

დეპუტატთა საგუშაგოები იქმნება გარკვეული დროით, მაგრამ არა უმეტეს ადგილობრივი საბჭოს უფლებამოსილების ვადისა, შესაბამისი საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის, მუდმივი კომისიის, დეპუტატთა ჯგუფის გადაწყვეტილებით.

III. დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების უფლებამოსილება

მუხლი 13. დეპუტატთა ტერიტორიული ჯგუფი:

1) მონაწილეობს შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოსა და მისი ორგანოების მუშაობაში, მათს განსახილველად შესატანი საკითხების მომზადებაში, საბჭოსა და მისი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლში, ეხმარება დეპუტატებს მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებ[illegible] განხორციელებაში;

2) მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად მოსახლეობის ორგანიზაციაში;

3) მონაწილეობს ქალაქების, დაბებისა და სოფლის დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის, გარემოს დაცვის, გზების შეკეთების სამუშაოთა ჩასატარებლად, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა და სხვა საზოგადოებრივ ღონისძიებათა პერიოდში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის საჭირო დახმარების გასაწევად მოსახლეობის ორგანიზაციაში;

4) მონაწილეობს კანონთა პროექტების, საბჭოს გადაწყვეტილებათა, მოქალაქეთა განსასჯელად გამოსატანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა საკითხების განხილვაში და მათ გამო წარადგენს თავის წინადადებებს;

5) ხელს უწყობს დეპუტატთა ჯგუფში გაერთიანებულ დეპუტატებს თავიანთი მუშაობისა და საბჭოს მუშაობის შესახებ ამომრჩეველებისათვის, აგრეთვე დეპუტატობის კანდიდატებად მათი დამსახელებელი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ანგარიშის ჩაბარებაში; ინფორმაციას აწვდის ამომრჩეველს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, საბჭოს გადაწყვეტილებების, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების, დეპუტატთა ჯგუფის საქმიანობის შესახებ;

6) ეხმარება დეპუტატებს ამომრჩეველთა მიღების ორგანიზაციაში, მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში, აგრეთვე საჩივრის გამომწვევი მიზეზების შესწავლაში; შეაქვს საკითხები საერთო კრებების, მოქალაქეთა ყრილობების განსახილველად;

7) სწავლობს საზოგადოებრივ აზრს, ატყობინებს საბჭოსა და მის ორგანოებს მოსახლეობის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესახებ, იღებს ზომებს მათს დასაკმაყოფილებლად. შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა განსახილველად შეაქვს წინადადებანი სადეპუტატო საქმიანობასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხების გამო;

8) ხელს უწყობს საბჭოსა და მის ორგანოებს სოციალისტური კანონიერების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფაში; მონაწილეობს სამართლებრივ პროპაგანდაში, მოქალაქეთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობასა და მოზარდებს შორის აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციასა და ჩატარებაში.

მუხლი 14. დეპუტატთა საწარმოო ჯგუფი:

1) ხელს უწყობს სახალხო დეპუტატთა საბჭოსა და მის ორგანოებს მოცემული შრომითი კოლექტივის ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების გამო გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის განხორციელებაში;

2) ხელს უწყობს მშრომელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობისა და შემოქმედებითი ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებას, სახელმწიფო გეგმების და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას, წარმოებაში ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განზებულობისა და დისციპლინის განმტკიცებას, სახალხო მოხმარებ[illegible]ლის წარმოების გადიდებას, ყაირათიანობისა და მომჭირნეობის [illegible]ლიერებას, მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეების სოციალურ-კულ-ტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუჯობესებას;

3) მონაწილეობს ამომრჩეველთა იმ განაწესების შესრულებისადმი კონტ-როლის განხორციელებაში, რომელთა რეალიზაცია საბჭომ დაავალა მოცემულ საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, და იღვწის მათი შესრულებისათ-ვის;

4) მონაწილეობს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილე-ბებისა და სამმართველოების, შრომითს კოლექტივებში დეპუტატთა ანგარიშ-გების დროს მშრომელთა მიერ გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების რეალიზაციის ღონისძიებათა განხორციელებისადმი კონტროლში;

5) მონაწილეობს საბჭოსა და მისი ორგანოების განსახილველად შე-სატანი საკითხების მომზადებაში, რომლებიც მოცემული შრომითი კოლექტი-ვის ინტერესებს შეეხება;

6) შრომითს კოლექტივში მოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობს კანონთა პროექტების, შრომითი კოლექტივის ინტერეს-ებთან დაკავშირებულ საბჭოს გადაწყვეტილებათა განსასჯელად გამოსატანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა საკითხების განხილვაში და მათ გამო წარადგენს თავის წინადადებებს;

7) სწავლობს მოცემული შრომითი კოლექტივის წევრთა საზოგადოებრივ აზრს, ავლენს მათს საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, ატყობინებს მათ შესახებ საბჭოსა და მის ორგანოებს;

8) ინფორმაციას აწვდის შრომითს კოლექტივს საბჭოსა და მისი ორგანო-ების საქმიანობის შესახებ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება მოცემული შრომითი კოლექტივის ინტერესებს;

9) დახმარებას უწევს დეპუტატებს თავიანთი მუშაობისა და საბჭოს მუშა-ობის შესახებ დეპუტატობის კანდიდატებად მათი დამსახელებელი შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ანგარიშების ჩაბა-რებაში.

მუხლი 15. დეპუტატთა საგუშაგო:

1) დეპუტატთა საგუშაგოს შემქმნელი სახალხო დეპუტატთა საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის, მუდმივი კომისიის ან დეპუტატთა ჯგუფის და-ავალებით ახორციელებს ოპერატიულ კონტროლს საბჭოსა და მისი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, აგრეთვე საკონტროლო ობიექტსა ან უბანზე მუშაობის არსებული მდგომარეობისა და ხარისხისადმი;

2) სისტემატურად აწვდის ინფორმაციას შესაბამის საბჭოს, მის აღმასრუ-ლებელ კომიტეტს, მუდმივ კომისიას ან დეპუტატთა ჯგუფს საკონტროლო ობიექტსა ან უბანზე საქმის ვითარების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) მონაწილეობს შრომითი კოლექტივებისა და საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა კრებებზე, საწარმოო და ოპერატიულ თათბირებზე დეპუტატთა საგუშაგოს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში;

4) შესაბამისი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა განსახილველად შეაქვს წინადადებები საკონტროლო ობიექტთა ან უბანზე მუშაობის გაუმჯობესების, გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ; ამ საკითხების გამო შესაბამისად შეაქვს წინადადებანი დეპუტატთა საგუშაგოს შემქმნელ საბჭოში, მის აღმასრულებელ კომიტეტში, მუდმივ კომისიასა ან დეპუტატთა ჯგუფში.

მუხლი 16. დეპუტატთა ჯგუფებსა და დეპუტატთა საგუშაგოებს მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულების მიზნით უფლება აქვთ:

1) მიმართონ სახალხო დეპუტატთა საბჭოს, აღმასრულებელ კომიტეტს, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებს, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

2) საბჭოსა და მისი ორგანოების დაკალებით შეამოწმონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობა საბჭოს გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით, გაეცნონ საჭირო დოკუმენტებს, შეიტანონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ საბჭოს სესიაზე, აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მოსმენილ იქნეს საბჭოსადმი ანგარიშვალდებული ან მის კონტროლს დაქვემდებარებული ნებისმიერი ორგანოს, ანდა თანამდებობის პირის ანგარიში ან ინფორმაცია;

3) შეიტანონ შესაბამის საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტში წინადადებანი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების, გამოვლენილ ნაკლოვანებათა, სახელმწიფო და შრომის დისციპლინისა და კანონიერების დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ.

IV. დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების მუშაობის ორგანიზაცია

მუხლი 17. დეპუტატთა ჯგუფი ორგანიზაციას უწევს თავის მუშაობას ჯგუფის სხდომაზე დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

სამუშაო გეგმა დგება დეპუტატთა ჯგუფის წინაშე დასახული ამოცანებისა და შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოსა და მისი ორგანოების სამუშაო გეგმების გათვალისწინებით.

მუხლი 18. დეპუტატთა ჯგუფის სხდომებს იწვევენ საჭიროებისდა მიხედვით, მაგრამ სულ ცოტა ორ თვეში ერთხელ.

დეპუტატთა ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დეპუტატთა ჯგუფის შემადგენლობის ნახევარზე მეტი. დეპუტატთა ჯგუფში ყველა

საკითხი წყდება ჯგუფის სხდომაზე დამსწრე დეპუტატთა ხმების უმეტესი უმრავლესობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 19. დეპუტატთა ჯგუფის სხდომებში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, მოცემული საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე შრომითს კოლექტივებში მოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების წარმომადგენლები.

მუხლი 20. დეპუტატთა ჯგუფის სხდომები ფორმდება ოქმით.

დეპუტატთა ჯგუფის გადაწყვეტილებებსა და ოქმს ხელს აწერენ ჯგუფის ხელმძღვანელები.

დეპუტატთა ჯგუფის გადაწყვეტილებები რეკომენდაციის ხასიათისაა, ისინი ექვემდებარებიან აუცილებელ განხილვას და ეგზავნებათ შესაბამისი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მათი დაქვემდებარების მიუხედავად, განხილვის შედეგებს აცნობებენ ჯგუფსა და შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოს არა უგვიანეს ორი კვირის ვადაში, ანდა ჯგუფის მიერ დაწესებულ სხვა ვადაში.

მუხლი 21. დეპუტატთა ჯგუფის ხელმძღვანელი ორგანიზაციას უწევს ჯგუფის მუშაობას, ახორციალებს კონტროლს ჯგუფის სამუშაო გეგმისა და მის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, აძლევს დავალებებს ჯგუფის წევრებს, უზრუნველყოფს მასალების მომზადებას ჯგუფის სხდომებისათვის, კავშირი აქვს სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, მუდმივ კომისიებთან, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, აგრეთვე შრომითს კოლექტივებში მოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან.

ჯგუფის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს დეპუტატთა ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე.

მუხლი 22. დეპუტატთა საგუშაგო შესაბამის ობიექტსა ან უბანზე ორგანიზაციას უწევს კონტროლს სამუშაოთა მიმდინარეობის რეგულარული და უშუალო გაცნობის გზით.

ნაკლოვანებათა გამოვლენისას დეპუტატთა საგუშაგო იღებს ზომებს მათს აღსაკვეთად ადგილზე, ხოლო საჭირო შემთხვევებში მიმართავს სახალხო დეპუტატთა საბჭოს, მის ორგანოებს, დეპუტატთა ჯგუფს.

დეპუტატთა საგუშაგო მუშაობს სახალხო კონტროლის ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტში.

დეპუტატთა საგუშაგოს მუშაობის აღრიცხვა წარმოებს დღიურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების ურთიერთობა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებსა და მათს ორგანოებთან

მუხლი 23. დეპუტატთა ჯგუფების საქმიანობას წარმართავენ შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭო, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — მისი აღმასრულებელი კომიტეტი.

დეპუტატთა საგუშაგოები შესაბამისად მუშაობენ ამ საგუშაგოთა შემქმნელი საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის, მუდმივი კომისიის, დეპუტატთა ჯგუფის ხელმძღვანელობით.

მუხლი 24. სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი:

1) დახმარებას უწევს დეპუტატთა ჯგუფებსა და დეპუტატთა საგუშაგოებს მათი მუშაობის ორგანიზაციაში, ქმნის საჭირო პირობებს მათი საქმიანობის განსახორციელებლად;

2) აცნობს დეპუტატთა ჯგუფებსა და დეპუტატთა საგუშაგოებს მათი მუშაობისათვის საჭირო საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის, მუდმივი კომისიების გადაწყვეტილებებს, აგრეთვე ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების აქტებს;

3) ინფორმაციას აწვდის დეპუტატთა ჯგუფებსა და დეპუტატთა საგუშაგოებს საბჭოსა და მისი ორგანოების საქმიანობის, მათ წინაშე მდგომი ამოცანების, ეკონომიკური და სოციალური განვითარების კეგმების შესრულების მიმდინარეობის, ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის, დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების გამო მიღებული ზომების შესახებ.

4) იწვევს დეპუტატთა ჯგუფების ხელმძღვანელებს, დეპუტატთა საგუშაგოების ხელმძღვანელობაში შემავალ დეპუტატებს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ამ საკითხების განხილვისას, რომელთა გადაწყვეტისაც დაინტერესებული არიან დეპუტატთა ჯგუფები და დეპუტატთა საგუშაგოები;

5) განაზოგადებს და ავრცელებს დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების მუშაობის გამოცდილებას, აწყობს სემინარებსა და თათბირებს მათი საქმიანობის საკითხებზე;

6) უზრუნველყოფს ფართო საჯაროობას დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების მუშაობაში, მათი საქმიანობის გაშუქებას პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი;

7) განიხილავს დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების წინადადებებს და მათ გამო იღებს შესაბამის ზომებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

317 ამხ. თ. შ. ხაჩიძის საქართველოს სსრ სადგილოგრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. თეიმურაზ შალვას ძე **ხაჩიძე** საქართველოს სსრ სადგილობრივი მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 10 სექტემბერი.
№ 262—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

318 ამხ. გ. ა. ანჩაბაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. გივი ალექსის ძე **ანჩაბაძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 19 სექტემბერი.
№ 276—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

319 ამხ. გ. დ. მახარაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ბეგლარ დიმიტრის ძე **მახარაშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 19 სექტემბერი.
№ 273—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

320 ამხ. ო. ვ. მელქაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ოთარ ვალერიანის ძე **მელქაძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 19 სექტემბერი.
№ 274—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

321 ამხ. ნ. რ. საჯაიას საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ნუგზარ რაჟდენის ძე **საჯაია** საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 19 სექტემბერი.
№ 277—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

322 ამხ. ო. ე. ჩერკეზიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ოთარ ევტიხის ძე **ჩერკეზია** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 19 სექტემბერი.
№ 272—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

323 ამხ. ნ. ა. ჭითანავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან გან-თავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ნოდარ ამროსის ძე **ჭითანავა** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 19 სექტემბერი.
№ 275—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

324 „საქართველოს სსრ დამსახურებული კონსტრუქტორისა“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული ტექნოლოგის“ საპატიო წოდებათა დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს საპატიო წოდებები „საქართველოს სსრ დამსახურებული კონსტრუქტორი“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული ტექნოლოგი“.

2. საპატიო წოდებები „საქართველოს სსრ დამსახურებული კონსტრუქტორი“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული ტექნოლოგი“ მიენიჭებათ საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების მაღალკვალიფიციურ მუშაკებს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით უმაღლესი მსოფლიო დონის შესაბამისი, პრინციპულად ახალი მაღალეფექტიანი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავებასა და დანერგვაში თვალსაჩინო წვლილისათვის.

3. „საქართველოს სსრ დამსახურებული კონსტრუქტორისა“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული ტექნოლოგის“ საპატიო წოდებათა დაწესებასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ დებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1982 წ., № 9, მუხ. 277) შემდეგი დამატებანი:

— მე-6 მუხლის მე-5 პუნქტს დამატოს შემდეგი შინაარსის აბზაცები:

„საქართველოს სსრ დამსახურებული კონსტრუქტორი“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ დამსახურებული ტექნოლოგი“;

— მე-9 მუხლს სიტყვების წინ „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის ... ვის დამსახურებული მუშაკი“ დამატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„საქართველოს სსრ დამსახურებული კონსტრუქტორი“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული ტექნოლოგი“ — საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების მაღალკვალიფიციურ მუშაკებს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით უმაღლესი მსოფლიო დონის შესაბამისი, პრინციპულად ახალი მაღალეფექტიანი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავებასა და დანერგვაში თვალსაჩინო წვლილისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 20 სექტემბერი.
№ 278—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

325 საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

18121

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებსა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 2 აპრილის გრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1971 წლის 9 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ., № 12, მუხ. 202; 1973 წ., № 9, მუხ. 175; 1977 წ., № 4, მუხ. 43; 1978 წ., № 2, მუხ. 31; 1981 წ. № 10, მუხ. 220; 1982 წ., № 5, მუხ. 121) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-18 მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავისუფლების აღკვეთით პირველად მსჯავრდებულ მამაკაცებს ათავსებენ ამ მსჯავრდებულთაგან განცალკევებით, რომლებმაც წინათ მოიხადეს თავისუფლების აღკვეთა, არამძიმე დანაშაულთათვის პირველად მსჯავრდებულთ — მძიმე დანაშაულისათვის პირველად მსჯავრდებულთაგან განცალკევებით; თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ ქალებსა და არასრულწლოვანთ ათავსებენ განცალკევებით ამ კოდექსის 23-ე, 25-ე, 37-ე და 38-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად. სხვა მსჯავრდებულთაგან იზოლირებულად, აგრეთვე განცალკევებით ათავსებენ: განსაკუთრებით საშიშ

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

სახელმწიფო დანაშაულთათვის მსჯავრდებულთ; განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს; მსჯავრდებულთ, რომელთაც სიკვდილით დასჯა შეწყვეტილ-ამნისტიის წესით შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით. მსჯავრდებულ-ელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირთ, როგორც წესი, ათავსებენ სსრ კავშირის მსჯავრდებული მოქალაქეებისაგან განცალკევებით. სხვადასხვა კოლონია-დასახლებებში ათავსებენ: მსჯავრდებულებს, რომლებიც სასამართლოს განაჩენის შესაბამისად გაგზავნილი არიან გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩადენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში: მსჯავრდებულებს, რომლებიც სასამართლოს განაჩენის შესაბამისად გაგზავნილი არიან განზრახი დანაშაულის ჩადენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში; ამ კოდექსის 66-ე მუხლით გათვალისწინებული წესით იმ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში გადაყვანილ მსჯავრდებულებს, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას".

2. 22-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 22. შრომა-გასწორების კოლონიების სახეობები

შრომა-გასწორების კოლონიები იყოფა: გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩადენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებად, განზრახი დანაშაულის ჩადენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებად, იმ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებად, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას, საერთო რეჟიმის, გაძლიერებული რეჟიმის, მკაცრი რეჟიმის, განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიებად".

3. 23-ე მუხლში:

პირველ ნაწილში სიტყვები „რომლებსაც მძიმე დანაშაულისათვის პირველად მიესჯათ თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს სამი წლისა" შეიცვალოს სიტყვებით „გარდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მესამე აბზაცში მითითებულ დანაშაულთათვის მსჯავრდებულებისა";

მეოთხე ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები „შვიდ მანეთამდე" შეიცვალოს სიტყვებით „ათ მანეთამდე";

მეხუთე ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები „ოთხი მანეთის" შეიცვალოს სიტყვებით „რვა მანეთის".

4. 24-ე მუხლში:

პირველ ნაწილში ამოღებულ იქნეს სიტყვები „სამ წელზე მეტი ვადით";

მეოთხე ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები „ექვს მანეთამდე" შეიცვალოს სიტყვებით „ცხრა მანეთამდე";

მეხუთე ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები „სამი მანეთის" შეიცვალოს სიტყვებით „შვიდი მანეთის".

5. 25-ე მუხლში:

მეოთხე ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები „ხუთ მანეთამდე" შეიცვალოს სიტყვებით „რვა მანეთამდე";

მეხუთე ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები „ორი მანეთის" შეიცვალოს სიტყვებით „ექვსი მანეთის".

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. 26-ე მუხლში:

მესამე ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები „ოთხ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „შვიდ მანეთამდე“.

მეოთხე ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები „ერთი მანეთის“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთი მანეთის“.

7. 27-ე მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებებში სასჯელს იხდიან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით პირველად მსჯავრდებულნი; განზრახი დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში სასჯელს იხდიან საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მესამე აბზაცში მითითებულ დანაშაულთათვის თავისუფლების აღკვეთით პირველად მსჯავრდებულნი, ხოლო იმ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში, რომლებიც მტკიცედ დადგნენ გამოსწორების გზას, სასჯელს იხდიან ასეთ კოლონიებში საერთო, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის კოლონიებიდან ამ კოდექსის 66-ე მუხლით გათვალისწინებული წესით გადმოყვანილი პირნი“;

მესამე ნაწილის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ყველა სახეობის შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებებში მსჯავრდებულთ:“;

მეოთხე ნაწილში სიტყვები „რომლებმაც სასჯელი მოიხადეს გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში, და მსჯავრდებულნი, რომლებმაც სასჯელი მოიხადეს კოლონია-დასახლებაში, სადაც ისინი გადაიყვანეს ამ კოდექსის 66-ე მუხლით გათვალისწინებული წესით“ შეიცვალოს სიტყვებით „რომლებმაც სასჯელი მოიხადეს ყველა სახეობის კოლონია-დასახლებებში“.

8. 32-ე მუხლში:

პირველი ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები „სამ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთ მანეთამდე“;

მეორე ნაწილში სიტყვები „ერთი მანეთის“ შეიცვალოს სიტყვებით „სამი მანეთის“.

9. 33-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები „ორ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „სამ მანეთამდე“.

10. 37-ე მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთით პირველად მსჯავრდებული მამრობითი სქესის არასრულწლოვანნი, ამასთან არამძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულებს ათავსებენ ძმიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულთაგან განცალკევებით, აგრეთვე მდედრობითი სქესის ყველა მსჯავრდებული არასრულწლოვანი“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები „შვიდ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათ მანეთამდე“;

მეხუთე ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები „სამი მანეთის“ შეიცვალოს სიტყვებით „შვიდი მანეთის“.

11. 38-ე მუხლში:

პირველ ნაწილში ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან მძიმე დანაშაულისათვის მიესჯათ თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით“;

მესამე ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები „ხუთ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „რვა მანეთამდე“;

მეოთხე ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვები „ორი მანეთის“ შეიცვალოს სიტყვებით „ექვსი მანეთის“.

12. 39-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული მსჯავრდებულნი, რომლებიც არ დაადგნენ გამოსწორების გზას, სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით შრომა-აღმზრდელობითი კოლონიებიდან შეიძლება გადაყვანილ იქნენ შრომა-გასწორების კოლონიებში“;

13. მე-40 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „შეიძლება დატოვებულ იქნენ“ შეიცვალოს სიტყვებით „როგორც წესი, რჩებიან“.

14. 43-ე მუხლში:

მესამე ნაწილში სიტყვები „ორი მანეთი“ და „ოთხი მანეთი“ შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით „ხუთი მანეთი“ და „შვიდი მანეთი“;

მეხუთე ნაწილში სიტყვები „თხუთმეტ მანეთს“ შეიცვალოს სიტყვებით „ოცდახუთ მანეთს“.

15. 45[1] მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში, კოლონია-დასახლებებში“ შეიცვალოს სიტყვებით „ყველა სახეობის კოლონია-დასახლებებში“.

16. 51-ე მუხლის მეორე ნაწილში ამოღებულ იქნეს სიტყვები „შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებებსა და“.

17. 52-ე მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში და კოლონია-დასახლებაში“ შეიცვალოს სიტყვებით „ყველა სახეობის შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებებში“.

18. 66-ე მუხლში:

პირველი ნაწილის მერვე აბზაცში სიტყვები „ორ მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „სამ მანეთამდე“;

მეორე ნაწილის მეოთხე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საერთო, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებიდან იმ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას, — სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედის მოხდის შემდეგ; საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლის მეექვსე ნაწილსა და 54[1] მუხლის მე-3, მე-5 და მე-6 პუნქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებში ჩამოთვლილი მსჯავრდებულნი — სასჯელის დანიშნული ვადის არანაკლებ ორი მესამედის მოხდის შემდეგ";

მეორე ნაწილის შემდეგ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ნაწილი;

„იმ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას, არ შეიძლება გადაყვანილ იქნენ:

— განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები;

— განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის მსჯავრდებულნი;

— პირები, რომლებსაც სიკვდილით დასჯა შეწყალების ან ამნისტიის წესით შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით;

— პირები, რომლებსაც ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელთან ერთად დაენიშნათ ალკოჰოლიზმის ან ნარკომანიის გამო იძულებითი მკურნალობის ღონისძიებანი, აგრეთვე რომლებსაც არ გაუვლიათ ვენერული დაავადების მკურნალობის სრული კურსი";

მესამე ნაწილი ჩაითვალოს მეოთხე ნაწილად.

19. 68-ე მუხლის მესამე ნაწილს სიტყვების „ასეთი პირებისათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში გაგზავნით" შემდეგ დაემატოს სიტყვები „განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებულნი ასეთი პირებისათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში გაგზავნით".

20. 82[1] მუხლში:

პირველ ნაწილს სიტყვების „სამუშაო ადგილზე გამგზავრების შესახებ" შემდეგ დაემატოს სიტყვები „შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლებაალკვეთილს, რომელიც პატიმრობაშია, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისთანავე გაათავისუფლებენ საგამოძიებო იზოლატორიდან. საგამოძიებო იზოლატორის აღმინისტრაცია მსჯავრდებულს ჩაბარებს მიწერილობას სამუშაო ადგილზე გამგზავრების შესახებ";

მეორე ნაწილის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბრალეულის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით მსჯავრდებული, რომელიც განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის პატიმრობაშია, სამუშაო ადგილზე გააგზავნოს თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირებისათვის დადგენილი წესით".

II. ეს ბრძანებულება ძალაში შედის 1985 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 30 სექტემბერი.

№ 390—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება

326 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

კაციას ზენონ ვლადიმერის ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ რეჟისორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი“

ბუზუკაშვილს დავით არონის ძეს — მრავალტირაჟიან გაზეთ „კოოპერატორის“ ლიტუშაკს.

გეგეშიძეს მედეა სიმონის ასულს — საქართველოს რადიოს პროგრამების მთავარი დირექციის მთავარ დირექტორს.

გობეჩიას იოსებ ლევანის ძეს — გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტს აფხაზეთის ასსრ-ში.

დოლიძეს კარლო ხარიტონის ძეს — ჟურნალ „პარტიული სიტყვის“ რედაქტორის მოადგილეს.

ესვანჯიას ვახტანგ პართენის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორს.

კობახიძეს ლალი ვლადიმერის ასულს — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თბილისის ორგანიზაციის მდივანს.

კოპალეიშვილს მიხეილ შალვას ძეს — საქართველოს რადიოს სამავშვო პროგრამების მთავარი რედაქციის განყოფილების გამგეს.

მამასახლისს ალექსანდრე ვაგანის ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს.

მეცხოვრიშვილს ალექსანდრე ბესარიონის ძეს — „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანების მრავალტირაჟიან გაზეთ „სამთოელის“ რედაქტორს.

მიქელაძეს გალინა ალექპერის ასულს — გაზეთ „სოვეტსკაია ტორგოვლიას“ საკუთარ კორესპონდენტს.

მინასიანს ემილ არამის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების საერთო სექტორის გამგეს.

ნემეროვას მაია ალექსანდრეს ასულს — გაზეთ „სოვეტსკი პატრიოტის“ საკუთარ კორესპონდენტს ამერიკაკავკასიაში.

ოქროპირიძეს მაყვალა ალექსანდრეს ასულს — საქართველოს ტელევიზიის საკუთარ კორესპონდენტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარაიას ნეგრო ივანეს ძეს — გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორს მოადგილეს.

უშვერიძეს ალექსანდრე ამბროსის ძეს — საქართველოს ტელევიზიისა და თბილისის ზონის კორესპონდენტთა პუნქტის გამგეს.

ქარელს დარეჯან გიორგის ასულს — გორის გაერთიანებულ გაზეთ „გამარჯვების“ რედაქტორის მოადგილეს.

ძიძიგურს ვალენტინა ივლიანეს ასულს — გამომცემლობა „მეცნიერების“ მთავარ რედაქტორს.

ჭანიშვილს გურამ კირილეს ძეს — საქინფორმის მთავარ გამომშვებს.

ჭანტურაიას აკაკი ალექსანდრეს ძეს — ზუგდიდის გაერთიანებულ გაზეთ „მებრძოლის“ რედაქტორს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

ბარშახს ევგენი ისაკის ძეს — გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ ფოტოკორესპონდენტს.

ბეშიძეს ანზორ პლატონის ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის პროპაგანდის მთავარი რედაქციის რედაქტორს.

გაგუას ირმა ალექსანდრეს ასულს — ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ განყოფილების გამგეს.

გუჯაბიძეს ვლადიმერ ბართლომეს ძეს — ფოთის გაზეთ „ახალი კოლხეთის“ ყოფილ განყოფილების გამგეს.

დანელიას ნანული გიორგის ასულს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მემონტაჟეს.

დობორჯგინიძეს ზაურ კომანდოს ძეს — რადიოტელეცენტრის ტელეოპერატორს.

ისაკიანს მარგარიტა ავაქის ასულს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ კორექტორს.

კანდელაკს ელეონორა პავლეს ასულს — გამომცემლობა „ხელოვნების“ მთავარი რედაქტორის მოადგილეს.

კილაძეს მამია ვლასის ძეს — მახარაძის რაიონულ გაზეთ „ლენინის დროშით“ რედაქტორის მოადგილეს.

ლეკაშვილს მარგარიტა სერაფიონის ასულს — გაზეთ „კომუნისტის“ კორექტორს.

პაპაიანს არამ არკადის ძეს — გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ ყოფილ ფოტოკორესპონდენტს, პენსიონერს.

სულეიმანოვს სულეიმან მაგამედ ოღლის — გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქტორის მოადგილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენგელიას ბორის სტეფანეს ძეს — ცხაკაიას რაიონულ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილეს.

შულცს სიმონ გარის ძეს — საინფორმის კორესპონდენტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 5 სექტემბერი.
№ 259—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

327 სტანდარტებისა და საზომი ტექნიკის სახელმწიფო ზედამხედველობის ლაბორატორიებისა და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისრის“ მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და სსრ კავშირში სტანდარტიზაციის 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

მუჯირს იასონ ნიკოლოზის ძეს — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისრის“ დირექტორის მოადგილეს.

ფიდლერს ხანან ნუმის ძეს — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისრის“ ლაბორატორიის გამგეს.

ხარატურიანს ნორა სერობის ასულს — სტანდარტებისა და საზომი ტექნიკის სახელმწიფო ზედამხედველობის აფხაზეთის ლაბორატორიის უფროს ინჟინერს.

ჯაჯანიძეს ბერდია პოლიკარპეს ძეს — სტანდარტებისა და საზომი ტექნიკის სახელმწიფო ზედამხედველობის ქუთაისის ლაბორატორიის უფროსს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

ზასლავსკის დავით იდელის ძეს — სტანდარტებისა და საზომი ტექნიკის სახელმწიფო ზედამხედველობის აფხაზეთის ლაბორატორიის უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 12 სექტემბერი.
№ 269—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

328 ამხ. ხ. ს. ციცაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს განყოფილების უფროსს ამხ. სერგო ხუსეინის ძე ციცაძეს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 12 სექტემბერი.

№ 264—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

329 ამხ. დ. ა. თოფურიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საფინანსო, საგეგმო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და პედაგოგიური საქმიანობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კვების მრეწველობის განყოფილების უფროსს ამხ. დანიელ არსენის ძე თოფურიას მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 17 სექტემბერი.

№ 271—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

330 „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მარქსიზმ-ლენინიზმისა და სკკპ პოლიტიკის პროპაგანდისათვის გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი“ მიენიჭოთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიევს ამირხან ალის ძეს — მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს, პროპაგანდისტს.

არსენიძეს დავით ასლანის ძეს — ტყიბულის ზონის საწირის საშუალო სკოლის მასწავლებელს, პროპაგანდისტს.

გრიგოლავას ვლადიმერ ვლადიმერის ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, სემინარის ხელმძღვანელს.

დევნოზაშვილს როზა აბრამის ასულს — საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის წევრსულ მდივანს, ლექტორს.

ვაშაყმაძეს შოთა ნოეს ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, სემინარის ხელმძღვანელს.

ზედგინიძეს შალვა პავლეს ძეს — ახალციხის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორს, ლექტორს.

იაილახანიანს სერგო ერვანდის ძეს — საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის კონსულტანტს.

კოპლატაძეს აღექსანდრე ბესარიონის ძეს — პენსიონერს, ლექტორს (მახარაძის რაიონი).

ლასურიას ავთანდილ იაკობის ძეს — საქართველოს კომპარტიის სოხუმის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს, პროპაგანდისტს.

მეტონიძეს ავთანდილ ერმალოს ძეს — ქუთაისის ავტომქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს უფროსს, პროპაგანდისტს.

მუსელიანს კონსტანტინე ვლადიმერის ძეს — ლენტეხის საშუალო სკოლის დირექტორს, სემინარის ხელმძღვანელს.

ოტრრბას ასლან ტამშუგის ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ აფხაზეთის ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს, ლექტორს.

რურუას სერგო პორფილეს ძეს — გულრიფშის რაიონის ქვემო ფშაფის საშუალო სკოლის დირექტორს, პროპაგანდისტს.

სიგუას მიხეილ ვლადიმერის ძეს — კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის საშუალო სკოლის დირექტორს, სემინარის ხელმძღვანელს.

ტარიას აღექსანდრე მიქატის ძეს — აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს, სემინარის ხელმძღვანელს.

ქანთარიას ოდიკ ლავრენტის ძეს — ზუგდიდის რაიონის ზედა ეწრის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორს, პროპაგანდისტს.

შუმილოვს ზინობი ივანეს ძეს — ვაგრის XVII პარტყრილობის სახელობის სანატორიუმის მთავარი ექიმის მოადგილეს, პროპაგანდისტს.

ჩალიკს ივანე ნიკიტას ძეს — საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვარშეიშვილს გედეონ გაიოზის ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს, სემინარის ხელმძღვანელს.

ჯიქიას რუბენ მინას ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" წყალტუბოს საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს, სემინარის ხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 27 სექტემბერი.
№ 285—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

331 ამხ. ნ. ა. წერეთლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საიტორო უფლებების რესპუბლიკური საკენესოს უფროსი ამხ. ნუგზარ აკაკის ძე **წერეთელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 5 სექტემბერი.
№ 258—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

332 სტანდარტებისა და საზომი ტექნიკის სახელმწიფო ზედამხედველობის ლაბორატორიების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და სსრ კავშირში სტანდარტიზაციის 60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

თავდაშვილი ჯემალ ესტატეს ძე — სტანდარტებისა და საზომი ტექნიკის სახელმწიფო ზედამხედველობის ქუთაისის ლაბორატორიის მეტროლოგიის განყოფილების უფროსის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოპოვიჩი ალექსანდრა დენისის ასული — სტანდარტებისა და საზომ-ტექნიკის სახელმწიფო ზედამხედველობის ქუთაისის ლაბორატორიის ლოგიის განყოფილების **უფროსი.**

ჭითანავა ოთარ აბრამის ძე—სტანდარტებისა და საზომი ტექნიკის სახელ-მწიფო ზედამხედველობის აფხაზეთის ლაბორატორიის ინჟინერი.

ჭელიძე შალვა პოლიკარპეს ძე — სტანდარტებისა და საზომი ტექნიკის სახელმწიფო ზედამხედველობის ქუთაისის ლაბორატორიის განყოფილების უფროსი.

ხლოპკოვი ვიქტორ ალექსის ძე — სტანდარტებისა და საზომი ტექნიკის სახელმწიფო ზედამხედველობის აფხაზეთის ლაბორატორიის სპეციმანქანის მძღოლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 12 სექტემბერი.
№ 268—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

333 ამხ. პ. ბ. გუგუშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ამხ. პაატა ბესარიონის ძე **გუ-გუშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 12 სექტემბერი.
№ 266—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

334 ამხ. ს. ი. კაკაბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში წელილისათვის და დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, მოქანდაკე სილოვან იაკიმეა ძე **კაკაბაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 12 სექტემბერი.
№ 267—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

335 ამხ. ვ. ვ. კოტეტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ფილოლოგიის მეცნიერების განვითარებასა და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრი ამხ. ვახუშტი ვახტანგის ძე **კოტეტიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 12 სექტემბერი.
№ 265—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

336 ამხ. ბ. ვ. ჩიგოგიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს სრულიად საკავშირო ტრესტ „სოიუზელექტორმელრემსტროის“ საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სარემონტო-სამშენებლო საწარმოო სამმართველოს უფროსი ამხ. ბესარიონ ვლადიმერის ძე **ჩიგოგიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 17 სექტემბერი.
№ 270—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

337 ამხ. მ. გ. თურნავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე ამხ. მურმან გრამატონის ძე **თურნავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 25 სექტემბერი.
№ 283—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

338 ამხ. ბ. ა. ნაცვლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის სისხლძარღვთა ქირურგიის კურსის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი პროფესორი გიორგი არჩილის ძე **ნაცვლიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 30 სექტემბერი.
№ 391—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

339 ამხ. კ. ა. რამიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კაპიტალური მშენებლობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს კომპლექტაციის სამმართველოს უფროსი ინჟინერი ამხ. კორნელი ანდრიას ძე **რამიშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 30 სექტემბერი.
№ 392—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

340 ამხ. გ. მ. ცანავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი პროფესორი გიორგი მელიტონის ძე **ცანავა** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 30 სექტემბერი.
№ 393—XI

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები

1985 წლის 6 სექტემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა და საგეგმო-საბიუჯეტო კომისიების სხდომა. განხილულ იქნა საკითხი ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების, შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების საკითხების კომპლექსური გადაწყვეტის უზრუნ-

№ 79
ეროვნული ბიბლიოთეკა

ველსაყოფად კასპის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ მინდობული უფლებებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების შესახებ.

კომისიებმა აღნიშნეს, რომ კასპის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით და „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, გარკვეულ მუშაობას ეწევიან რაიონის ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში მისი აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

ღღეისათვის რაიონის 8 ათასზე მეტი ახალგაზრდა შრომითს საქმიანობაშია ჩაბმული, სწავლობს 2000-ზე მეტი. საკავშირო ალკკ წევრია 6.776, რაიონის ყველა საფეხურის საბჭოებში დეპუტატად არჩეულია 128.

მნიშვნელოვანია რაიონის ახალგაზრდობის წვლილი მეთერთმეტე ხუთწლეულის საგეგმო დავალებათა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულების საქმეში.

სამრეწველო საწარმოებში სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია 31 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა და 300-ზე მეტი ახალგაზრდა. 35 ახალგაზრდა ატარებს კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელს, 270-მდე კი იბრძვის ამ საპატიო სახელის მოსაპოვებლად.

რაიონის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში სულ უფრო ფართოდ მონაწილეობს მოსწავლე ახალგაზრდობა. 1984 წელს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაება 315 საშუალო სკოლის კურსდამთავრებული.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობენ ქალიშვილებისა და ჭაბუკების ინტერნაციონალურ, პატრიოტულ და შრომითს აღზრდას.

უკანასკნელ პერიოდში ერთგვარად გაუმჯობესდა რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა, ამაღლდა მათი როლი ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური და ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

ამასთან კომისიებმა აღნიშნეს, რომ ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების, შრომის, ყოფა-ცხოვრების და დასვენების საკითხების კომპლექსურად გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად კასპის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ გაწეული მუშაობა ხასიათდება არსებითი ნაკლოვანებებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა და საგეგმო-საბიუჯეტო კომისიებმა რჩევა მისცეს:

კასპის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა სოფლ., რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახალგაზრდობასთან მუშაობაში განუხრელად იხელმძღვანელონ სკკ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის და 1985 წლის აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებებით და „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის ამაღლების შესახებ“ სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით ახალგაზრდობასთან მუშაობის გაუმჯობესებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით;

— მუდმივი ყურადღება დაუთმონ და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმას სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობაში რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების რეალიზაციისა და სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის; ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებისას უფრო სრულად გაითვალისწინონ ახალგაზრდობის მოთხოვნილებანი, ინტერესები;

— ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის ამოცანათა გადასაწყვეტად გააძლიერონ ურთიერთმოქმედება შრომითს კოლექტივებთან, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, ხელი შეუწყონ შრომითს კოლექტივებში სათანადო პირობების შექმნას ახალგაზრდა მუშების მწარმოებლური შრომისა და პროფესიული დაოსტატებისათვის;

— უფრო ეფექტიანი ღონისძიებანი განახორციელონ ახალგაზრდობას შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტმასობრივი მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იდეურ-პოლიტიკური, ინტერნაციონალური, ზნეობრივი, სამხედრო-პატრიოტული და ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების საკითხებს;

— განახორციელონ ღონისძიებანი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და სპორტულ ნაგებობათა ქსელის გასაფართოებლად, ამ საქმეში ჩააბან მათ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები და სხვა სამეურნეო ორგანიზაციები;

— მუდმივი ხელმძღვანელობა გაუწიონ სამართალდამცველ ორგანოებს ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების, საბჭოთა კანონებისადმი, ნორმატიული აქტებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების სულისკვეთებით აღზრდის საქმეში; ახალგაზრდობას შორის ანტისაზოგადოებრივ გამოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში;

—-ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების, შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების და ჯანმრთელობის დაცვის საკითხების კომპლექსური გადაწყვეტის უზრუნველყოფის მიზნით უფრო სრულად გამოიყენონ მინიჭებული უფლებამოსილება, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.

რჩევა მიეცათ:

№ 9
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს — სისტემატური მეთოდური დახმარება გაუწიოს კასპის რაიონის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, სერიოზული ყურადღება დაუთმოს მათი მატერიალურ ტექნიკურ-სანიტარიული განმტკიცებისა და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების საქმეს. განიხილოს საკითხი ხელოვნების უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სასწავლებლებში კასპის რაიონისათვის ლიმიტის გამოყოფის შესახებ;

საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს — განახორციელოს საჭირო ღონისძიებები კასპის რაიონის ბიბლიოთეკების ახალი ლიტერატურით მომარაგებისათვის; საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს — პრაქტიკული დახმარება გაუწიოს კასპის რაიონს კინოდანადგარების ეფექტიანად გამოყენებაში; უზრუნველყოს კინოფილმებზე მათი განაცხადების სრული დაკმაყოფილება, მიიღოს საჭირო ზომები რაიონის იმ დასახლებული პუნქტების მოსახლეობის კინომომსახურების გასაუმჯობესებლად, რომელთაც კინოდანადგარები არ გააჩნიათ, ამაღლოს ადგილობრივი კინოფიკაციის სამსახურის პასუხისმგებლობა.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობას — დაავალოს რაიონში მისი დაქვემდებარების სამსახურს უფრო გააქტიუროს სალექციო-პროპაგანდისტული მუშაობა; უზრუნველყოს ლექციების ჩატარება თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე, ამაღლოს მათი ხარისხი.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის სხდომაზე მოისმინეს საკითხი „საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის ვეგეშების შესრულების უზრუნველყოფის საქმეში სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 15 მარტის დადგენილების შესასრულებლად ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მუშაობის თაობაზე.

აღინიშნა, რომ ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო, ხელმძღვანელობს რა სკკპ XXVI ყრილობის გადწყვეტილებებით, გარკვეულ მუშაობას ეწევა ქალაქის და სოფლის სოციალური პრობლემების გადაჭრისა და მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ამასთან, ხაზი გაესვა, რომ ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს და ზონის სასოფლო საბჭოებს მშენებლობის სფეროში მნიშვნელოვანი რეზერვები და გამოუყენებელი საშუალებები გააჩნიათ.

ჯერ კიდევ დაბალია საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის ხარისხი და ტემპები; ყოველწლიურად მცირდება მშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებანი მათი

აუთვისებლობის გამო. XI ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში ბინათმშენებლობაზე კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულებამ მხოლოდ 83 პროცენტი შეადგინა. აუთვისებელი დარჩა 1 მლნ 143 ათასი მანეთი, ანუ ბინათა საკუთარ საკაპიტალუტაციოდ არ გადაეცა 1.798 კვ. მ. საცხოვრებელი ფართი, არ აშენდ

ხები. ძირითადი მშენებელი ორგანიზაცია — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „საქმახტმშენის“ № 7 ტრესტის ტყიბულშახტმშენის სამმართველო, რომელიც აწარმოებს შახტების სიმძლავრეთა მშენებლობასა და ექსპლუატაციას, ვალდებულია ერთდროულად საწარმოო, სამოქალაქო და სოციალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობის პროგრამის შესრულებას.

მშენებელთა შრომით კოლექტივებში ხშირ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებს სოციალისტური შეჯიბრება, სუსტად ინერგება ბრიგადული იჯარით მუშაობის პროგრესული ფორმები, არ ხდება მოწინავეთა მატერიალური და მორალური წახალისება, არ იგრძნობა ზრუნვა მშენებელთა შრომისა და კულტურული დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის, ადგილი აქვს კადრების დენადობას.

ნაკლოვანებებია ბინების სწორად განაწილებისას ფართო საჯაროობის უზრუნველყოფისა და ამ საკითხის გადაწყვეტაში საზოგადოების ფართო მონაწილეობის საქმეში. ყოველივე ეს განაპირობებს მოქალაქეთა საჩივრებს.

რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები, მათ შორის საქართველოს სსრ მშენებლობის, ვაჭრობის, კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის სამინისტროები, ცეკავშირი არ იჩენენ სათანადო დაინტერესებას ქ. ტყიბულის ზონაში განლაგებული მათი დაქვემდებარების ობიექტების მშენებლობის დაჩქარების, არსებულის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების და საერთო ზონის მოსახლეობის სოციალურ-კულტურული მომსახურების დონის ამაღლებისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიებმა სათანადო რჩევა მისცეს: ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირს“.